თავი IV
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2017 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-13 452.7) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 854 219.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 909 475.7 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	549,491.4	909,475.7
ვალუტა და დეპოზიტები*	0.0	385,901.3
სესხები	243,363.7	242,690.1
აქციები და სხვა კაპიტალი	306,127.7	280,884.3

*ვალუტა და დეპოზიტებში 385 901.3 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2017 წლის 1 ოქტომბრისათვის განისაზღვრა 1 090 047.3 ათასი ლარით.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 55 256.6 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	239,464.3	55,256.6
ვალუტა და დეპოზიტები	185,164.3	0.0
სესხები	54,300.0	55,166.1
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	88.7
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	1.8

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 867 671.8 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 1 242 452.5 ათასი ლარი, მათ შორის:

- 340 957.5 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 607 163.0 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 294 332.0 ათასი ლარი - ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	1,360,878.5	1,242,452.5
საშინაო	321,475.4	340,957.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	321,475.4	340,957.5
საგარეო	1,039,403.1	901,495.0
სესხები	1,039,403.1	901,495.0

ათას ლარებში

დასახელება	**საანგარიშო პერიოდის ფაქტი**
ბიუჯეტის მხარდაჭერის კრედიტები	**294,332.0**
WB	259,375.7
EU	34,956.2
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	**607,163.0**
IFAD	3,263.2
WB	113,104.1
EBRD	90,861.1
ADB	154,597.4
EIB	88,693.5
საფრანგეთი	87,740.5
იაპონია	27,609.0
ავსტრია	4,888.3
გერმანია	36,405.8
სულ კრედიტები	**901,495.0**

2017 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 42 აუქციონი, გამოშვებული იყო სახაზინო ფასიანი ქაღალდები 1 250 000.0 ათასი ლარის მოცულობით, ამავე პერიოდში დაიფარა 914 498.0 ათასი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდი. ფასიანი ქაღალდების გამოშვების კომპოზიცია: 14.4% იყო 6 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 41.2% - 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 24.4% - 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 15.2% - 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 4.8% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებულმა თანხამ 1 213 674.5 ათასი ლარი, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვამ 872 717.0 ათასი ლარი შეადგინა. სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვების შედეგად, საშინაო ვალდებულების ზრდამ შეადგინა 340 957.5 ათასი ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 106.1%-ია.

2017 წლის 9 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიღებული თანხა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა	სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ვალდებულებების ცვლილება
იანვარი	153,100.9	142,511.7	10,589.2
თებერვალი	135,344.6	100,041.7	35,302.9
მარტი	116,065.3	73,101.0	42,964.3
აპრილი	147,781.7	159,835.3	-12,053.6
მაისი	86,707.4	0.0	86,707.4
ივნისი	195,180.4	94,093.2	101,087.2
ივლისი	184,224.2	183,936.9	287.3
აგვისტო	116,727.5	99,292.0	17,435.5
სექტემბერი	78,542.5	19,905.1	58,637.4
სულ	*1,213,674.5*	*872,717.0*	*340,957.5*

3. ვალდებულებების კლება 374 780.6 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	9 თვის ფაქტიური შესრულება
	385,441.5	374,780.6
საშინაო	51,817.5	50,780.3
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	27,000.0	27,000.0
სესხები	2,080.0	2,080.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	22,737.5	21,700.3
საგარეო	333,624.0	324,000.3
სესხები	307,000.0	297,376.3
სხვა კრედიტორული დავალიანებები	26,624.0	26,624.0

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 15 882.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 3 484.9 მლნ ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 320.8 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 155.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 682.2 ათასი ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 654.6 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ე. წ. “ისტორიული ვალი“) – 672.3 მლნ ლარი.
- სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 12 398.0 მლნ ლარს.

ათას ლარებში

კრედიტორი	სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 30.09.2017 მდგომარეობით
სახელმწიფო საგარეო ვალი	**12,398,000**
მთავრობის საგარეო ვალი	**12,292,991**
მრავალმხრივი კრედიტორები	**9,015,775**
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,897,346
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,781,305
	268,533
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	70,235
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	280,025
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	330,843
ევროგაერთიანება (EU)	67,280
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	676,328
	1,749,802
	58,187
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	835,892
ორმხრივი კრედიტორები	**2,033,616**
ავსტრია	37,092
აზერბაიჯანი	22,279
თურქმენეთი	523
თურქეთი	42,674
ირანი	17,273
რუსეთი	179,724
სომხეთი	25,678
უზბეკეთი	485
უკრაინა	443
ყაზახეთი	56,446
ჩინეთი	5,583

კრედიტორი	სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 30.09.2017 მდგომარეობით
გერმანია	713,469
იაპონია	512,518
კუვეიტი	31,611
ნიდერლანდები	2,830
ამერიკა	59,863
საფრანგეთი	325,127
ფასიანი ქაღალდები	**1,238,350**
ევროობლიგაცია	1,238,350
გარანტირებული კრედიტები	**5,250**
გერმანია	5,250
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	**105,009**
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	105,009